სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიში

სწავლის საფასურის გადახდის,

ფინანსური დავალიანების ადმინისტრირების,

ჯარიმის ადმინისტრირებისა და

თანხის უკან დაბრუნების წესი

თავი 1.

სწავლის საფასურის გადახდის წესი

1.1. სწავლის საფასურის ოდენობა, გადახდის ვადები და პირობები გაწერილია უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში;

1.2. სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტებით;

1.3. კონკრეტულ პროფილზე სტუდენტის ფინანსურ ვალდებულებად განისაზღვრება სწავლის საფასურის დადგენილ ოდენობასა და მოპოვებულ სახელმწიფო სასწავლო/ სოციალური/ პროგრამული გრანტის ოდენობას შორის სხვაობა, რომელიც „სტუდენტთა სწავლის საფასურისა და საფასურიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ელექტრონულ სისტემაში“ (შემდგომში - ბილინგის სისტემა) აისახება სტუდენტის მიერ არჩეული, ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად;

1.4. სტუდენტი ვალდებულია სწავლის საფასური დაფაროს უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის გრაფიკის შესაბამისად. წინსწრებით გადახდილი თანხა ინახება სტუდენტის საუნივერსიტეტო ანგარიშზე და ავტომატურად გადადის მომდევნო ვალდებულებებზე;

1.5. სტუდენტს უფლება აქვს, მიმართოს ფაკულტეტს, ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკის ცვლილების თხოვნით, ნებისმიერ სემესტრში, სწავლის დაწყებამდე. მოქმედი გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის თარიღის დადგომის შემდეგ მიმართვის შემთხვევაში, ახალ გრაფიკზე გადასვლა არ ნიშნავს არსებული გრაფიკის დარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმის ავტომატურ მოხსნას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.6. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ძირითადი ხელშეკრულების ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული კრედიტებიდან სრულად არ აირჩევს 30 კრედიტს, არ ეხსნება სემესტრის დადგენილი საფასურის სრულად გადახდის ვალდებულება, ხოლო არჩეული კრედიტების პროპორციული საფასურისა და სემესტრის სრულ საფასურს შორის სხვაობა დაუშვებელია გამოყენებულ იქნას მომდევნო სემესტრებზე (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა);

1.7. კრედიტის ღირებულება გამოიანგარიშება კონკრეტული პროგრამისათვის სასწავლო წელზე განსაზღვრული სწავლის საფასურის სრული ოდენობის ერთ სასწავლო წელს გასავლელი კრედიტების საერთო რაოდენობაზე გაყოფით *(მაგ. 12 კრედიტის ღირებულება დაანგარიშდება შემდეგნაირად - 2250/60*12=450 ლარს, სადაც 2250 არის მიმდინარე სასწავლო წლისთვის დადგენილი სწავლის საფასური, 60 არის ერთ სასწავლო წელს გასავლელი კრედიტების რაოდენობა და 12 გამოსათვლელი კრედიტების რაოდენობა)*;

1.8. სტუდენტს უფლება აქვს შესაბამისი აკადემიური საფეხურის/პროგრამის ოფიციალური ვადის დასრულებამდე აირჩიოს დამატებითი კრედიტი/კრედიტები. სემესტრში 30 კრედიტზე მეტის აღების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია სემესტრის საფასურთან ერთად გადაიხადოს დამატებით აღებული კრედიტების საფასური. აღნიშნული გარემოების დადგომის შემთხვევაში, ფაკულტეტების წარდგინების საფუძველზე გამოიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები. დამატებით აღებული კრედიტების საფასური დაიანგარიშება ამ წესის 1.7. პუნქტის შესაბამისად. შიდა და გარე მობილობის ფარგლებში ჩარიცხულ ან გადაყვანილ სტუდენტზე ეს ნორმა ვრცელდება არა აკადემიური საფეხურის/პროგრამის ოფიციალური ვადის დასრულებამდე, არამედ უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე;

1.9. სტუდენტები, რომლებიც საფეხურის დამთავრებისათვის საჭირო კრედიტების რაოდენობას ვერ მოაგროვებენ დადგენილ ვადებში, მომდევნო სასწავლო წლების სწავლის საფასური უნდა გადაიხადონ იმ ტარიფების მიხედვით, რაც დადგენილი იქნება შესაბამის სასწავლო წელს ჩარიცხული იმავე საფეხურის სტუდენტებისათვის. აღნიშნული გარემოების დადგომის შემთხვევაში, მხარეთა შორის ფორმდება ახალი ხელშეკრულება, უნივერსიტეტში არსებული წესის თანახმად;

1.10. დამატებითი სემესტრის სწავლის საფასურის დაანგარიშება ძირითადი ხელშეკრულების ამოწურვიდან პირველ სასწავლო წელს ხორცილედება სწავლის საფასურის პროპორციულად, გასავლელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად. მაგ.: სტუდენტს ასაღები აქვს 20 კრედიტი, იგი გადაიხდის: 2250/60X20 ლარს, სადაც 2250 არის მიმდინარე სასწავლო წლისთვის დადგენილი სწავლის საფასური, 60 არის ერთ სასწავლო წელს გასავლელი კრედიტების რაოდენობა და 20 არის დარჩენილი კრედიტების რაოდენობა. ყოველ მომდევნო სემესტრზე, 30 კრედიტის ფარგლებში, გასავლელი კრედიტების რაოდენობის მიუხედავად, სემესტრის საფასური განისაზღვრება სტანდარტულად, კონკრეტულ სასწავლო წელს ჩარიცხული იმავე საფეხურის სტუდენტებისათვის დადგენილი საფასურის მიხედვით;

1.11. სტუდენტებს, რომლებიც გეგმავენ გარე მობილობით სარგებლობას და მიმართავენ ფაკულტეტს განცხადებით, მიეცეთ უფლება ისარგებლონ სპეციალურად ამ კატეგორიისათვის განსაზღვრული გადახდის გრაფიკით და კონკრეტული სემესტრის სწავლის საფასურის გადახდა დაიწყონ მობილობის პროცედურების დასრულების შემდგომ;

1.12. ფაკულტეტებს/სკოლას დაევალოს - 1.11. პუნქტით დადგენილი კატეგორიის სტუდენტებისათვის დაწესებული შეღავათის ბილინგის სისტემაში ასახვის უზრუნველყოფა (სტუდენტს სისტემაში უნდა დაუგენერირდეს გრაფიკი - „გარე მობილობა“);

1.13. გარე მობილობით გადმოსული სტუდენტები ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო სემესტრის საფასურს, კრედიტების რაოდენობის მიუხედავად, იხდიან სრულად.

თავი 2.

სწავლის საფასურის ფინანსური დავალიანებისა და ჯარიმის ადმინისტრირება

2.1. უნივერსიტეტში მოქმედი წესისა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკის დარღვევისათვის, სტუდენტს დაეკისროს ჯარიმა, ყოველ ჯერზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

2.2. სტუდენტებს, რომლებიც მიმართავენ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული შეღავათის თხოვნით, შესაძლებელია გადაუვადდეთ ან გადაუნაწილდეთ სწავლის საფასურის გარკვეული ნაწილი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რეზოლუციის შესაბამისად;

2.3. სტუდენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სწავლის საფასურის ზღვრულ ოდენობაზე მეტი დავალიანება, შეეზღუდოთ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სალექციო კურსებზე რეგისტრაციის უფლება (ფინანსური დავალიანების ზღვრულ ოდენობას ყოველი სემესტრისათვის განსაზღვრავს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია);

2.4. სტუდენტებს, რომლებიც არჩევის რეჟიმის დასრულებამდე დაფარავენ დავალიანებას (ზღვრული ოდენობის შესაბამისად), განუახლდეთ წვდომა არგუსზე;

2.5. სტუდენტებს, რომლებსაც არჩევის რეჟიმის დასრულების შემდეგ კვლავ დაუფიქსირდებათ დადგენილი ზღვრული ოდენობით ან მეტი დავალიანება - შეუჩერდეთ სტუდენტის სტატუსი ფინანსური დავალიანების გამო, უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა);

2.6. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ზღვრული თანხის ზემოთ დავალიანებული სტუდენტებისათვის ფინანსური დავალიანების გამო სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არგუსის არჩევის რეჟიმის დასრულებამდეც. სტუდენტური სტატუსის შეჩერება ასევე შესაძლებელია სემესტრის დასრულების შემდეგ, სტუდენტებისათვის უნივერსიტეტის მიმართ არსებული ფინანსური დავალიანების დაფარვის მიზნით გონივრული ვადის მიცემის წინაპირობით, ნებისმიერ დროს;

2.7. არგუსის არჩევის რეჟიმის გააქტიურებამდე 2 სამუშაო დღით ადრე, არჩევის რეჟიმის ჩართვამდე, შეწყდეს ფინანსურ შეღავათებთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა;

2.8. ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტის სტატუსის აღდგენის განხილვა განხორციელდეს მხოლოდ უნივერსიტეტის წინაშე არსებული ფინანსური დავალიანების სრულად დაფარვის შემდგომ, ფაკულტეტის/სკოლის რესურსის გათვალისწინებით, იმავე ან შემდგომი სასწავლო სემესტრიდან;

2.9. თუკი სტუდენტს აქვს ერთზე მეტი პროფილი, სტატუსის აღდგენის განხილვა განხორციელდეს უნივერსიტეტის წინაშე არსებული დავალიანების (ყველა პროფილის გათვალისწინებით) სრულად დაფარვის ან ვალდებულებების გადანაწილების შემდგომ, ფაკულტეტის/სკოლის რესურსის გათვალისწინებით, იმავე ან შემდგომი სასწავლო სემესტრიდან.
ეს წესი გავრცელდეს დარჩენილ კრედიტებზეც და სტუდენტს დარჩენილი კრედიტების ხელშეკრულების გაფორმების უფლება მიეცეს მხოლოდ უნივერსიტეტის წინაშე არსებული დავალიანების (ყველა პროფილის გათვალისწინებით) სრულად დაფარვის შემთხვევაში;

2.10. ხელმეორედ ჩარიცხვის შემთხვევაში, თუკი არსებულ პროფილზე/ებზე სტუდენტს უფიქსირდება ფინანსური დავალიანება, ვალდებულია დაფაროს არსებული დავალიანება ერთიანად ან გადახდის გრაფიკი გააფორმოს - არსებული დავალიანების გათვალისწინებით (დავალიანების ეტაპობრივად დაფარვის მიზნით);

2.11. უნივერსიტეტს უფლება აქვს არ გასცეს კურსდამთავრებულზე/სტუდენტზე უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი თუ მას უნივერსიტეტის მიმართ (ნებისმიერ პროფილზე) გააჩნია ფინანსური დავალიანება;

2.12. სტუდენტებს, რომლებიც ელოდებიან სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული, მათ შორის საბიუჯეტო ორგანიზაციის *(მუნიციპალიტეტები, სამინისტროები და ა.შ.)*, ასევე ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ სწავლის საფასურის დაფინანსებას, რის შესახებაც უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი ინფორმაცია *(მაგ. ფაკულტეტზე/სკოლაში წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტი ან დაფინანსების მისაღებად შესაბამის პორტალზე რეგისტრაციის სქრინი, სახელმწიფო პროგრამების შემთხვევაში - დაფინანსების მინიჭების შესახებ გასული სასწავლო წლის მინისტრის ბრძანება, უნივერსიტეტსა და ორგანიზაციას შორის გაფორმებული მემორანდუმი ან სხვა შეთანხმება, გასული სემესტრის დაფინანსებულთა ერთიანი სიები (სოკარი) და ასე შემდეგ),* არ შეეზღუდოთ წვდომა არგუსზე და დაფინანსების მომლოდინე სემესტრის სწავლის საფასურის სრულად დაფარვის მაქსიმალურ ვადად განესაზღვროთ შემოდგომის სემესტრში - 31 დეკემბერი, ხოლო გაზაფხულის სემესტრში - 30 ივნისი;

2.13. სახელმწიფო დაფინანსების მომლოდინე სტუდენტებს, შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის საფუძველზე, დაფინანსების მიღებამდე საპატიოდ ჩაეთვალოთ სწავლის საფასურის მხოლოდ ერთი სემესტრის დავალიანება. ერთი სემესტრის ოდენობაზე მეტი დავალიანების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს სწავლის საფასური საკუთარი სახსრებით. წინააღდეგ შემთხვევაში შეეზღუდოს წვდომა არგუსის არჩევის რეჟიმზე და შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი - ფინანსური დავალიანების გამო;

2.14. ფაკულტეტებს/სკოლას დაევალოს - ამ წესის 2.11. პუნქტით დადგენილი კატეგორიის სტუდენტებისათვის დაწესებული შეღავათის „ბილინგის სისტემა“-ში ასახვის უზრუნველყოფა, გარდა აზერბაიჯანული რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობიდან (შემდგომში - სოკარი) დაფინანსების მომლოდინე სტუდენტებისა. სოკარის მიერ დასაფინანსებელი სტუდენტებისათვის დაწესებული შეღავათის „ბილინგის სისტემა“-ში ასახვა დაევალოს შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს;

2.15. ამ წესის 2.11. პუნქტით განსაზღვრული კატეგორიის სტუდენტები, რომლებიც ვერ მიიღებენ დაფინანებას, ვალდებული არიან სრულად დაფარონ სწავლის საფასურის დავალიანება საკუთარი სახსრებით, ამავე პუნქტით დადგენილი ვადების დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაეკისროთ ერთჯერადი ჯარიმა - 50

(ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. დაკისრებული ერთჯერადი ჯარიმა მოეხსნას იმ სტუდენტებს, რომლებიც მიიღებენ სახელმწიფო დაფინანსებას, დაფინანსების მიღების თარიღის მიუხედავად;

2.16. მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად სტატუს შეჩერებულ (მათ შორის - აკადემიური შვებულება) ან სტატუს შეწყვეტილ სტუდენტებს მოეხსნას სტატუს შეჩერებულ/შეწყვეტილ სემესტრზე დაკისრებული ყველა ჯარიმა;

2.17. მოეხსნათ ჯარიმა იმ სტუდენტებს, რომლებიც დადგენილი გრაფიკის შესაბამისად გადაიხდიან სწავლის საფასურის თანხას და ჯარიმა დაეკისრებათ თანხის არასწორ პროფილზე ასახვის (ერთზე მეტი პროფილის მქონე სტუდენტების შემთხვევაში) ან პროგრამული ხარვეზის გამო;

2.18. მოეხსნათ ვადაგადაცილების გამო დაკისრებული ჯარიმა იმ სტუდენტებს, რომლებიც დადგენილ ვადაში გადაიხდიან სწავლის საფასურის თანხას საბანკო ან ნებისმიერი სხვა დაწესებულებიდან გადარიცხვის გზით და წარმოადგენენ შესაბამის ქვითარს, მიუხედავად იმისა, საბანკო გადარიცხვების პროცედურების შედეგად ან სხვა რაიმე მიზეზით როდის აისახება აღნიშნული თანხა საუნივერსიტეტო ანგარიშზე;

2.19. შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს დაევალოს სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით დადგენილი სტანდარტული გრაფიკების ყოველი გადახდის თარიღის მომდევნო სამუშაო დღეს, სახაზინო ანგარიშზე გადმორიცხვის გზით შემოსული თანხების საგადახდო დავალებების მიხედვით გაშიფვრა და იმ სტუდენტებისათვის, რომლებმაც გადახდა განახორციელეს ხელშეკრულებით დაგენილი ვადის დაცვით და საბანკო გადარიცხვის პროცედურის გამო დაჯარიმდნენ, სტუდენტის მიერ მომართვისა და ქვითრის წარმოდგენის გარეშე ჯარიმების მოხსნა;

2.20. სტუდენტები, რომლებიც მათთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში დაფარავენ უნივერსიტეტის წინაშე წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებას და მიმდინარე დავალიანებად დარჩებათ არაუმეტეს 5 (ხუთი) ლარი, არ დაეკისროთ ჯარიმა;

2.21. თუკი სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, დადგენილი გრაფიკით განსაზღვრული გადახდის თარიღი ემთხვევა არასამუშაო (კვირა დღე) ან უქმე დღეს, გადახდის ბოლო თარიღად განისაზღვროს მომდევნო სამუშაო დღე.

თავი 3.

გადახდილი სწავლის საფასურის თანხების უკან დაბრუნების წესი

3.1. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურის თანხები უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა;

3.2. სტუდენტებს, რომლებიც მოიპოვებენ სოციალურ გრანტს, მიიღებენ პროგრამულ დაფინანსებას პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან დაფინანსდებიან განგრძობადი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სწავლის საფასურის მათ მიერ გადახდილი თანხები დაუბრუნდეთ სრულად;

3.3. სტუდენტს, სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, გადახდილი სწავლის საფასური უკან არ უბრუნდება. თანხა ინახება სტუდენტის საუნივერსიტეტო ანგაირშზე სწავლის გაგრძელების დროისათვის, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა;

3.4. სტატუს შეწყვეტილ სტუდენტს დეპოზიტად არსებული თანხის სტუდენტის მიერ გადახდილი წილი უკან უბრუნდება სრულად;

3.5. სახელმწიფო ან კერძო სამართლის იურიდიული პირისგან სტუდენტის სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით მიღებული თანხები არ ექვემდებარება სტუდენტისათვის პირად ანგარიშზე გადარიცხვის გზით დაბრუნებას;

3.6. მოხსნილი ჯარიმების შედეგად წარმოშობილი დეპოზიტის თანხები უკან დაბრუნებას ექვემდებარება მხოლოდ კურსდამთავრებული და სტატუს შეწყვეტილი სტუდენტებისათვის;

3.7. აქტიური სტატუსის მქონე ერთზე მეტი პროფილის მქონე სტუდენტის დასრულებულ ან შეწყვეტილ პროფილზე არსებული დეპოზიტი ექვემდებარება აქტიურ პროფილზე გადატანას.

თავი 4.

სწავლის საფასურის გადახდის წესი ინგლისურენოვანი პროგრამებისათვის

4.1. ინგლისურენოვანი პროგრამებისათვის მოქმედებს ყველა ის რეგულაცია, რაც დადგენილია ამ წესის 1-ლი, მე-2 და მე-3 თავების შესაბამისად, გარდა ამავე წესის მე-4 თავით დადგენილი გამონაკლისებისა;

4.2. უცხოურ ვალუტაში გადახდილი სწავლის საფასურის ეროვნულ ვალუტაში პროგრამულად ასახვა ხორციელდება გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად;

4.3. <u>მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამებზე:</u>

ა) შესაძლებელია სემესტრში 30 კრედიტისგან განსხვავებული სავალდებულოდ გასავლელი კრედიტების რაოდენობის არსებობა, სასწავლო წლის განმავლობაში 60 კრედიტის პირობის დაცვით (მაგ. 27 კრედიტი შემოდგომის და 33 კრედიტი გაზაფხულის სემესტრში);

ბ) სავალდებულოდ გასავლელი კრედიტების რაოდენობის მიუხედავად სემესტრის სწავლის საფასურის ოდენობა დაიანგარიშება სტანდარტულად - სასწავლო წლის სწავლის საფასურის თანაბრად გაყოფით;

გ) დამატებით აღებული კრედიტების რაოდენობა გამოითვლება, დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად, კონკრეტულ სემესტრში სავალდებულოდ გასავლელი კრედიტების რაოდენობის გათვალისწინებით;

დ) ზაფხულის/ზამთრის სემესტრის საფასურის ოდენობა დაიანგარიშება გასავლელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, მიმდინარე სასწავლო წლისათვის დადგენილი სწავლის საფასურის პროპორციულად, კერძოდ, ზაფხულის სემესტრისათვის გაზაფხულის, ხოლო ზამთრის სემესტრისათვის შემოდგომის სემესტრისათვის დადგენილი სწავლის საფასურის პროპორციულად;

4.4. ინგლისურენოვანი პროგრამების სტუდენტებს პირველ სემესტრში არ ეკისრებათ ჯარიმა. ყოველ მომდევნო სემესტრში ჯარიმის დარიცხვა ხდება ამ წესის შესაბამისად;

4.5. ინგლისურენოვან პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის თანხის დაბრუნება ხდება ქვემოთ მოცემული წესის შესაბამისად:

4.5.1. თუ სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნით, სტუდენტი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განცხადებით მიმართავს შემოდგომის სემესტრში შესაბამისი წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო გაზაფხულის სემესტრში შესაბამისი წლის 1 აპრილამდე, უბრუნდება დეპოზიტზე არსებული თანხა;

4.5.2. თუ სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნით, სტუდენტი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განცხადებით მიმართავს შემოდგომის სემესტრში შესაბამისი წლის 1 ნოემბრის შემდეგ, ხოლო გაზაფხულის სემესტრში შესაბამისი წლის 1 აპრილის შემდეგ, <u>შეწყვეტილი სემესტრის</u> სწავლის საფასურის დაფარვის მიზნით გადახდილი თანხა დაბრუნებას ექვემდებარება იმ შემთხვევაში თუ სტატუსის შეწყვეტა დაკავშირებულია სავიზო-საიმიგრაციო პრობლემებთან, სხვა შემთხვევაში შეწყვეტილი სემესტრის სწავლის საფასური უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება;

4.5.3. სავალუტო შემოსავლის დაბრუნების დროს, ორიენტირია სტუდენტის ბალანსზე არსებული ლარის ოდენობა, ხოლო თუ გადარიცხვის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით თანხა ვალუტაში აღემატება სტუდენტის მიერ გადახდილ ოდენობას, სტუდენტს

უბრუნდება მის მიერ გადახდილი თანხა, კურსთაშორის სხვაობა ბილინგში სწორდება მოგება-ზარალის ანგარიშით;

4.6. **ტრანსფერით მიღებული სტუდენტებისათვის პირველი სემესტრის საფასური დაიანგარიშება შეთავაზებული კრედიტების რაოდენობის მიხედვით.**